დღეს მეშახტის დღეა. დიდება სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ლელო

27 აგვისტო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გაზეთი,

1961 წ.

№ 180 (1766)

გამოდის მე-18 წელი.

ფასი 2 კაპ.



ახალგაზრდობაში მონაწილე ბევრი საზღვარგარეთელი სპორტსმენი გარს შემოეხვია გ. ტიტოვს ავტოგრაფის მისაღებად. ზემო სურათზე თქვენ ხედავთ სწორედ ერთ-ერთ ასეთ მომენტს, როცა სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ტიტოვი ავტოგრაფს აძლევს შეჯიბრების ერთ-ერთ მონაწილეს.

ქვემო სურათზე აღბეჭდილია გ. ტიტოვი ნადირობის დროს.

დეპეშა ბეჩოდან

მაზერის, უშბას, შხელდას რთული მწვერვალების საკონკურსო ტრავერსი წარმატებით დამთავრდა. ჯგუფი დ. ობოლაძის, გ. ჯაფარიძის, გ. დევაძის, ვ. ძვაკაძის, ვ. გაბელაშვილის, ი. ბერუაშვილის შემადგენლობით 23 აგვისტოს მშვიდობით დაეშვა საბაზო ბანაკში. 24 აგვისტოს გამარჯვებულ მთამსვლელებს უშხვანარაში მოუწყეს გულთბილი შეხვედრა.

ა. ივანიშვილი

ტანვარჯიში

დამთავრდა გოგონათა შეჯიბრება. მოსკოვის გოგონათა გუნდი, რომელმაც 466,6 ქულა დააგროვა, პირველ ადგილზეა. მეორეზეა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი — 463,32 ქულა, მესამეზე — უკრაინის გუნდი — 459,225.

პირად პირველობაზე მოსკოველმა ს. ერინამ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. დ. ჯანუყაშვილი მას მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა. დ. ჯანუყაშვილმა ორძელზე ვარჯიშში ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა. იგი მეორე ადგილზე გავიდა საკალდებულო ხტომებში, ხოლო დვირში—მესამე ადგილზე.

★

მძლეოსნობა

საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ქუთაისელმა გოგონამ ვ. პაპიაშვილმა 200 მეტრზე რბენაში შედეგით 25,9 წამი პირველობა მოიპოვა. თ. ტყეშელაშვილმა ურო ტყორცნა 54,38 სანტიმეტრზე და მეხუთე ადგილზე გამოვიდა. შეჯიბრება დამთავრდა. პირველ ადგილზეა უკრაინის გუნდი, საქართველოს წარმომადგენლები მეცხრე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

★

კალათბურთი

ჩვენმა ჭაბუკმა კალათბურთელებმა მორიგი შეხვედრები მოიგეს სომხეთისა (63:56) და მოლდავეთის (70:60) კალათბურთელებთან და მეშვიდე ადგილი დაიკავეს. გოგონათა გუნდმა კი მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ზ. ენუქიძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მორიგმა უმაგალითო გამარჯვებამ კოსმოსის დაპყრობის საქმეში, გ. ტიტოვის ჯერ არნახულმა გმირობამ განაცვიფრა მთელი მსოფლიო. ამ შესანიშნავი გმირობით ისახა საბჭოთა კავშირის, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის, მთელი სახალხო მეურნეობის ახალი უდიდესი მიღწევები — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების დიდი უპირატესობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ბევრი მისალმება და მილოცვა მიიღეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ თვალსაჩინო გამარჯვებასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ მაიორმა გერმანე სტეფანეს ძე ტიტოვმა თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-2“ მოაწყო კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო 25-საათიანი კოსმოსური გაფრენა.

გულითადი მისალმება და მხურვალე მილოცვები მიღებულია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო, პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივებისაგან, საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების, პოლიტიკური, პროფკავშირული, მეცნიერული მოღვაწეებისა და კერძო პირთაგან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უცხადებენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ყველა სახელმწიფო, იგივეთვე პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ყველა მოქალაქეს საბჭოთა ხალხისადმი მათი მისალმებისა და კეთილი სურვილებისათვის.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი კოსმონავტი გ. ტიტოვი კარგი სპორტსმენი და ამასთან სპორტის დიდი მოყვარულია. მას ხშირად ნახავთ საინტერესო სპორტულ შეჯიბრებებზე. იგი ამას წინათ დაესწრო მსოფლიო ჩემპიონატს თანამედროვე ხუთჭიდში, რომლის დამთავრების შემდეგ მან გამარჯვება მიულოცა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ი. ნოვიკოვს. გ. ტიტოვმა ინტერესი გამოიჩინა მოსკოვში გამართულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირისადმი. მის გამოჩენას ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სარბიელზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი და შეჯიბრების მონაწილეები აღტაცებით შეხვდნენ.

ერთი დღეც და მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადის ალაში დაეშვება. შეჯამდება ნორჩ სპორტსმენთა შედეგები. დიდი ასპარეზობის დამთავრების წინა დღეს საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ექვსი ადგილი შემდეგნაირად ნაწილდება: I მოსკოვი — 85 ქულა, II უკრაინა — 89 ქულა, III ლენინგრადი — 119 ქულა, IV საქართველო—137 ქულა, V რსფსრ — 183 ქულა, VI აზერბაიჯანი — 183 ქულა.

შეჯიბრების დამთავრების წინა დღეს სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა:

★

ჩოგბურთი

ვაჟთა წყვილების ნახევარფინალში მეტრეველმა და ბაქრაძემ დაამარცხეს ესტონელები პალმი და იუხელდი. ფინალში ისინი შეხვდნენ ვ. ბურკოსა (უკრაინა) და რ. იუშკოს (ლატვია). შეხვედრა ჩატარდა ძლიერი ქარის პირობებში. პირველი პარტია მათ წააგეს 0:6, მეორე მოიგეს 6:3, ეს იყო მათი უკანასკნელი წარმატება. გადამწყვეტ პარტიაში მათ დამარცხება განიცადეს — 0:6 და მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ.

შვრეული წყვილების ნახევარფინალებში 8 მონაწილიდან 3 საქართველოს წარმომადგენელი იყო. პირველ ნახევარფინალში ბაქრაძივანოვამ (საქართველო) დაამარცხეს (6:4, 6:3) იშუტინა-ტკაჩოვი (მოსკოვი) და ფინალში გავიდნენ.

მეორე ფინალური წყვილი გამოავლინა თ. ტარანოვა (უკრაინა)-ა. მეტრეველის (საქართველო) და დამურაევა-ლელინის (მოსკოვი) შეხვედრამ. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს პირველებმა და ფინალში გავიდნენ.

გოგონათა წყვილებიდან ივანოვა-რიაზანოვამ დამარცხება განიცადა ნახევარფინალში ესტონელ კეთთან და კეულთან შეხვედრაში. უკანასკნელი თამაში მათ კარგად ჩაატარეს და მესამე-მეოთხე ადგილზე ბრძოლის დროს დაამარცხეს მოსკოველები დამურაევა და საბონოვა — 6:4, 6:3.

★

მაგიდის ჩოგბურთი

ჭაბუკებიდან წარმატებით გამოიდის რამაზაშვილი, რომელმაც ჯერ

მ. პაპიაშვილი — პირველ ადგილზე

თანაგუნდელი ოვკიმიანი დამარცხა, შემდეგ კი მოსკოველი გორშკოვი, მისი წინსელა ნახევარფინალში შეაჩერა აზერბაიჯანელმა ნოვიკოვმა. ახლა რამაზაშვილი იბრძვის III-IV ადგილისათვის. წყვილთა შეჯიბრებაში შეთანხმებული თამაში უჩვენეს გოგონებმა — პარფენიდიმ და ხურშუდიანმა, რომლებმაც ნახევარფინალში ძლიეს ძლიერ მოწინააღმდეგეებს რუდნოვა (მოსკოვი)-ლუნინა (ლატვია) და გავიდნენ ფინალში.

★

წყალბურთი

საქართველოს გუნდმა მორიგი შეხვედრა წააგო აზერბაიჯანის წყალბურთელთა კოლექტივთან — 2:4. ახლა მათ მხოლოდ მეხუთე ადგილზე გასელის შანსი აქვთ. ჯერჯერობით პირველ ადგილზე მიდის აზერბაიჯანი, მეორეზე — მოსკოვი.

★

ფრენბურთი

ჩვენმა ჭაბუკთა გუნდმა ფინალურ ჯგუფში მხოლოდ ერთი წაგება განიცადა. თავის აქტივში ქართველ სპორტსმენებს 4 გამარჯვება აქვთ. მეოთხე დღეს მათ დაამარცხეს მოსკოვის ძლიერი გუნდი — 3:2. მეხუთე დღეს კი — ბელორუსები — 3:1.

★

ხელბალი

საქართველოს ჭაბუკებმა VII-XII ადგილისათვის მებრძოლ გუნდების ტურნირში კარგად ჩაატარეს თავიანთი შეხვედრები და VII ადგილი მოიპოვეს. გოგონები უკანასკნელ ტურში შეხვდებიან უკრაინელებს, რომლის შემდეგ გადწყდება საპრიზო ადგილების ბედი.

ინსტრუქტორთა შეკრებაზე

სპორტსაზოგადოება „განთიადი“ ატარებს 80-საათიანი პროგრამით გათვალისწინებულ საზოგადოებრივი ინსტრუქტორების სემინარებს.

გასულ კვირას, არმაზის ხეობაში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ფიზკულტურის ინსტრუქტორებმა. მოისმინეს ლექცია ჩვენს ქვეყანაში ალპინიზმის განვითარების შესახებ. ჩატარდა მეცადინეობა კლდეზე ცოცვაში. მოეწყო ლაშქრობა ჯვრის მონასტერზე.

სურათზე: საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა სემინარის მონაწილენი პრაქტიკულად ვარჯიშობენ არმაზის ხეობაში.

ფოტო დ. ზალდასტანიშვილისა.

არმაზს მოადგა ლაშქარი

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კომკავშირის კომიტეტის მდივნის ლ. ნარიმანაშვილის კაბინეტში თავშეყრილი ახალგაზრდები დიდხანს ბჭობდნენ მომავალი ტურისტული ლაშქრობის გეგმის შედგენაზე.

გადწყდა პირველი ასვლა არმაზზე მოწყობილიყო, შემდეგ კი მცხეთისა და ჯვრის მონასტრის გავლით თბილისში დაბრუნებულიყვნენ.

ლაშქრობის დაწყების წინ ამინდი მოულოდნელად შეიცვალა, ძლიერი ქარი დასავლეთიდან შავ ღრუბლებს ერეკებოდა... არმაზის ხეობაში შესულებს ღამე წამოეწიათ.

— აუჩქარეთ, დაბნელებამდე კარვების გაშლა უნდა მოვასწროთ, — გასძახა წინ მიმავალმა ლ. ნარიმანაშვილმა მეგობრებს და გამოცდილი ალპინისტი თითქმის სირბილით შეპყვა აღმართს. წინამძღოლს არც სხვებმა დაუგდეს ტოლი. მოლაშქრეებს ერთ საათზე ნაკლები დრო დასჭირდათ დანიშნულ ადგილზე მისასვლელად..

არმაზიდან ფეიქრებმა გეზი მცხეთისაკენ აიღეს. დაათვალიერეს სვეტიცხოველის ტაძარი და ჯვრის მონასტრისაკენ გაეშურნენ. როდესაც შუადღის პაპანაქებამ მოატანა, ლაშქრობის მონაწილეებმა მტკვრის სანაპიროსთან მოიყარეს თავი. მოგზაურობის შემდეგ სახიამოვნოიყო მდინარის ტალღებში ცურვა. მოეწყო შეჯიბრება ცურვაში. გოგონებიდან უველას მოწინავე ფეიქარმა ჟ. ჩანჩიბაძემ აჯობა, ვაუებიდან კი უძლიერესი გ. თოდრია აღმოჩნდა.

ლაშქრობით კმაყოფილი ფეიქრები დედაქალაქში გვიან საღამოს დაბრუნდნენ.

რ. მაჭავარიანი

ფიზკულტურელის საკავშირო დღესასწაულთან დაკავშირებით ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ახალგაზრდობამ შაბათობაზე 1700 მეტრი ხამის ქსოვილი მოქსოვა და გადაწყვიტა ეს წარმატება ტურისტული ლაშქრობით აღენიშნა. მარშრუტიც შეირჩა: ქუთაისი — სოფელი ოფიტარი-ხვამლის მთა-ქუთაისი.

საკმაოდ შებინდდა, როცა ჩვენი მანქანები სოფელ ოფიტარას მისადგომებთან შეჩერდნენ, დამის გასათევად იქვე გზის პირად მდებარე საგზაო მეურნეობის მწვანით დაფარული ეზო შევარჩიეთ.

სახელდახელოდ გაჩაღებულ ცეცხლის შუქზე კარვებს შლიან ვ. ჩაკვეტაძე, ჯ. ტაბლიაშვილი, ქვეოსტატი ს. კარტოზია, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ელიკო ვარდუკაძე და დაგმარა ნატრიაშვილი; გაიმართა საველე სამზარეულოც და „მზარეულები“ თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ.

საღამოს სიბნელეში საამურად გაისმის ახალგაზრდა მემაუდეების ხმაშეწყობილი სიმღერები, რომელსაც მდინარე ცხენისწყლის ხეობიდან ამოჭრილი წყლის ხმაური უერთდება. დ.ლიფ ფაბრიკის ფიზკულტურის ინსტრუქტორის ჯ. კვანტალიანის ნიშანზე მოლაშქრეები ეწყობიან და ხელმძღვანელთან ერთად ასრულებენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, საუზმის შემდეგ კი სოფელ ოფიტარას ბილიკებით ხვამლის მთისაკენ მიემართებიან.

ხვამლზე

ჯერ კიდევ ადრეა, საკმაოდ ცხელა, აღმართებს დასასრული არ აქვს, მაგრამ ახალგაზრდები იხტიბარს არ იტეხენ და ნელა მიიწევენ წინ.

უკან მოვიტოვეთ უკანასკნელი შეღმართიც; ვეშვებით ღრმა ტაფობში, სადაც მთელი თავისი სიდიადით აღიმართა ხვამლის მთის ტერასებით დაყოფილი სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კლდოვანი კედელი. გზადაგზა გვიხდება წამოღებული თოკის გამოყენებაც, რომელსაც სწრაფად და საიმედოდ ყენებს შედარებით გამოცდილი ტურისტი — ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის უფროსი ი. ფიჩხაძე, ტრასა თითქმის სულ უფრო და უფრო რთულდება; ბალახოვანი ბილიკები იცვლება ტერასებით. პირველი სიძნელე დაძლეულია: დაღლილი მოლაშქრეები უკვე სამხრეთ-დასავლეთ კედლის თხემზე არიან და ოფიცერას ჯვარის გოლიათი მთების დანახვასთან ერთად უქრებათ მოქანცულობის გრძნობა.

კლდეების თხემზე გაფანტული მოგზაურთა შეძახილები შორს გაისმის. შედარებით ვაკე კლდის ტერასაზე იკრიბებიან ყველანი და ბილიკს არჩევენ მთის უმაღლეს წერტილზე ასასვლელად. საერთო სიჩუმეს ერთბაშად ფანდურის ტკბილი ხმა არღვევს, რომელიც ჯერ სუსტად, შემდეგ კი თანდათან გაბედულად გაისმის; ნაზი ჩხაიძის თითების სწრაფ მოძრაობას კოხტად უწყობენ ხმებს თინა ბექნელაძე, როხა გარმოვსკაია, მარიკა ხილაგაძე და ამ სახალისო მომზადების შემდეგ უკანასკნელი სიძნელის გადასალახავად მივეწევთ..

გამარჯვებას ვულოცავთ ერთმანეთს. საამაყოდ მიგვაჩნია ის მდგომარეობა, რომ ხვამლზე პირველად მოეწყო ასეთი დიდი ჯგუფის (60 მოლაშქრე) ასვლა სამხრეთ-დასავლეთის კედლიდან.

საკმაოდ შებინდდა, როცა ელექტრონათურების შუქით განათებულ სოფელში შევედით. მცირე ხნის შესვენების შემდეგ ცაგერიდან ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე გავდივართ.

უკან დარჩა სოფლები: ძეძილეთი, ცხუნკური, ყუმისთავი. საქართველოს კურორტთა მშვენება — წყალტუბო და გამოჩნდა ჩვენი მშობლიური ქუთაისიც.

შ. ჩიმაკაძე,
გ. ლოლომაძე.

* * *

დიდხანს დარჩება ტურისტულ მოგზაურობაში გატარებული დღეები მემაუდეთა მეხსიერებაში. რა შეცვლის ხაბანაკო ცხოვრების ხიამეს, მთების კალთებზე და მწვერვალიდან ზვავივით მოხეთქილი ქართული მელოდიების სიმშვენიერეს.

ფოტოები გ. ლოლომაძისა.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲓᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

შ. ტატიშვილი — მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის [illegible] ლებელი, მ. ცქიფურიშვილი — [illegible] ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, Ა. ᲩᲝᲒᲠᲒᲕᲐᲫᲔ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘ, Მ. ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ 21-Ე ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, Დ. ᲩᲘᲠᲐᲫᲔ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-10 ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, Რ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲑᲐ „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ, Რ. ᲩᲐᲮᲐᲫᲔ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, Ა. ᲩᲣᲞᲠᲘᲜᲘ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, Ბ. ᲩᲐᲚᲘᲒᲐᲕᲐ — ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲮᲐᲑᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, Უ. ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ — ᲛᲔᲡᲢᲘᲐ, ᲡᲝᲤ. ᲙᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ნ. ᲮᲔᲠᲙᲣᲚᲐᲫᲔ — ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲛᲭᲐᲓᲘᲯᲕᲠᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲤᲐ. ᲮᲣᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ, Ა. ᲮᲐᲛᲮᲐᲫᲔ — ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ, Შ. ᲮᲣᲓᲝᲘᲐᲜᲘ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, Გ. ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲘᲖ. ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ, Ვ. ᲮᲐᲠᲗᲘᲐᲕᲐ — ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, Ვ. ᲕᲐᲠᲡᲘᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲤᲐᲡᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, Ბ. ᲣᲐᲜᲩᲐᲕᲔᲚᲘ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲔᲜᲓᲝ ᲡᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, Გ. ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, Შ. ᲨᲐᲠᲣᲮᲘᲐ — ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, Ო. ᲨᲐᲕᲓᲘᲐ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, Ვ. ᲨᲣᲓᲠᲐ — ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, Დ. ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲐᲠᲐᲨᲔᲜᲓᲐᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, Ა. ᲖᲐᲮᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ — ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ, Თ. ᲚᲔᲥᲐᲕᲐ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ, ნ. ᲯᲐᲜᲘᲐᲕᲐ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ, Ჯ. ᲓᲐᲠᲡᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-20 ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, პ. ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ი. ᲢᲣᲚᲣᲨᲘ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ი. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, Ვ. ᲠᲝᲞᲝᲕᲘ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ, ᲓᲐ ᲛᲝᲜᲘᲐᲕᲐ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, პ. ᲡᲔᲠᲘᲙᲘᲐᲜᲘ — ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ტ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲜᲘ — ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ნ. ᲮᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲕᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ფ. ᲯᲘᲤᲨᲘᲫᲔ — ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

(დასასრული იქნება).

დასაწყისი იხ. „ლელო“ № 125, 127.

ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით არ არსებობს სპეციალური საჭადრაკო ჟურნალი. ამიტომ მკითხველები თხოვენ „ლელოს“ რედაქციას შეესაძლებლობის ფარგლებში მოათავსოს მასალები, სადაც დაეხმარება მოჭადრაკეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, ორგანიზაციებსა ორგანიზატორებს მათს მუშაობაში. რედაქცია ეცდება ამ თხოვნას.

„ლელო“ თვეში ერთხელ გვერდს დაუთმობს საჭადრაკო საკითხებს. თემატური გვერდის მასალების მომზადებაში მოწვეული იქნებიან ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი მოჭადრაკეები, გამოჩენილი საბჭოთა გროსმაისტერები და ოსტატები.

მკითხველებს ვთხოვთ გამოთქვან თავიანთი შეხედულება თემატური გვერდის შესახებ, მოგვწერონ რა სურთ წაიკითხონ მასში, როგორი წინადადებები ექნებათ, რომ ახალმა საქმემ მეტი სარგებლობა მოუტანოს ქართული ჭადრაკის განვითარებას.

მსაჯის დასახმარებლად

[illegible]ებს ქვეყანაში საჭადრაკო შეჯ[illegible]ება, როგორც წესი, იმართება [illegible]ჭოთა კავშირის ერთიანი საჭ[illegible]ო კოდექსის“ მიხედვით. [illegible]ამდენმე ხნის წინათ კოდექსში შეტანილი იქნა ზოგიერთი [illegible]ლება საერთაშორისო საჭადრ[illegible] ფედერაციის კოდექსის შე[illegible]ბასდ.

[illegible]ასთან დაკავშირებით ვაქვეყ[illegible] საერთაშორისო კატეგორიის [illegible]ელ ლ. გარკუნოვის პასუხებს [illegible]ერთ შეკითხვაზე:

[illegible]ითხვა: რომელი სვლა უნდა გა[illegible]ოდეს, თუ რიგი შეცდომით ეტ[illegible] დაიწყო?

[illegible]ასუხი: უნდა ითამაშოთ იმავე [illegible]ერით, რომელსაც მოჰკიდეთ [illegible].

[illegible]ითხვა: ვალდებულია თუ არა [illegible] გააფორმოს ყაიმი, თუ მოწი[illegible]ალმდეგენი შეთანხმდნენ და კონ[illegible]ტს გახსნის შემდეგ გამოირ[illegible], რომ საიდუმლო სვლა არაა ჩა[illegible]ული ან ჩაწერილია შეუძლებე[illegible] სვლა?

[illegible]ასუხი: არა, არ არის ვალდებუ[illegible]ი. იგი უნდა მოიქცეს საჭადრაკო [illegible]ექსის 21-ე მუხლის შესაბამი[illegible] ე. ი. დამნაშავეს წაგება უნდა [illegible]ეულოს.

[illegible]ითხვა: მსაჯმა სცნო პოზიციის [illegible]ერ გამეორება და გააფორმა ყა[illegible] ან მსაჯმა არ სცნო პოზიციის [illegible]ერ გამეორება და თამაშის [illegible]ძელებისას მხარე, რომელიც [illegible]ელობდა ყაიმს, დამარცხდა, [illegible]ორკვა, რომ ორივე შემთხვე[illegible] მსაჯი შეცდა. როგორ მოვიქ[illegible]?

[illegible]ასუხი: ორივე შემთხვევაში სა[illegible]ია ვცნოთ ყაიმი, ვინაიდან პი[illegible] შემთხვევაში პარტია შეწყ[illegible] პირობებში, როცა არ ყო[illegible] ჩაწერილი საიდუმლო სვლა [illegible] მაშასადამე, პარტია არ შეიძ[illegible] გაგრძელდეს: მსაჯის შეცდო[illegible] გამოუსწორებელია. მეორე შე[illegible]ვევაში მსაჯის შეცდომა შეიძ[illegible] გამოსწორდეს, ვინაიდან მან [illegible] მოახდინოს გავლენა იმ [illegible]ადრაკის ინტერესებზე, რომე[illegible] ყაიმს მოითხოვდა.

[illegible]ითხვა: მოჭადრაკე, რომელიც [illegible] სვლის დროს გააჩერებს [illegible], ჩაეთვლება თუ არა მას წა[illegible]?

[illegible]ასუხი: ჩაეთვლება. დაუმთავ[illegible]ელ პარტიაში საათის გაჩერება [illegible]ლია მხოლოდ მსაჯს, ხოლო [illegible] ერთ-ერთმა მოწინააღმდე[illegible] გააჩერა, ეს თავისი დამარცხე[illegible]ადიარების ერთ-ერთი ფორ[illegible]

ბათუმიდან ბაკუოობინებენ

[illegible]ათუმი. (ჩვენი ხეც. კორ.). [illegible]13 ტურის შემდეგ მოეწყო ვა[illegible] საჭადრაკო ჩემპიონატის ნა[illegible]ფინალის უკანასკნელ ტურ[illegible] გადადებული პარტიების დამ[illegible]ება გიშლილის როიზმანთან [illegible]ადებულ პარტიაში აშკარა უპი[illegible]

„მოჭადრაკე დამოუკიდებლად უნდა აზროვნებდეს“

ჭადრაკში, ისე, როგორც სპორტის ყველა სახეობაში, წარმოუდგენელია წინსვლა ნიჭისა და შეუპოვარი შრომის გარეშე. ამ ძნელი გზით მიდის ყველა დიდი მოჭადრაკე. ისინი თავდადებული მეცადინეობით ავითარებენ ბუნებით მომადლებულ ნიჭსა და აღწევენ საჭადრაკო მწვერვალებს. მათი წარმატებები აღელვებს ახალბედა მოჭადრაკეებს, მოსწონთ, სურთ თვითონაც იარონ ამავე ეკლიანი ბილიკით. მაგრამ როგორ, საიდან დაიწყონ? ეს ბევრმა არ იცის.

ამაზე თავის დროზე არა ერთი დიდი მოჭადრაკე დაფიქრებულა. მსოფლიოს მეორე ჩემპიონმა, ფილოსოფიისა და მათემატიკის დოქტორმა ემ. ლასკერმა (1868-1941 წწ.), როცა საბჭოთა კავშირში საკუთარი თვალით ნახა ჭადრაკისადმი ახალგაზრდობის უსაზღვრო ენთუზიაზმი, ხელისით გაუზიარა მათ თავისი პედაგოგიური მოძღვრება.

„მოჭადრაკე დამოუკიდებლად უნდა აზროვნებდეს, — აი ლასკერის მოძღვრების ძირითადი დებულება, — ვისაც სურს ამ ერთადერთი სწორი გზით იაროს, იგი უნდა გაურბოდეს ყველაფერს, რაც ჭადრაკში მკვდარია: მოგონილ თეორიებს, რომლებიც ძალიან ცოტა მაგალითსა და ბევრ მონაგონს ეყრდნობა, სუსტ მოწინააღმდეგეებთან თამაშს; საშიშროებისათვის გვერდის ავლას, სხვების მიერ გამოყენებული ვარიანტებისა და წესების შეუმოწმებლად გამეორებას, კრიტიკის ვარეშე მათ გადაღებას, თვითკმაყოფილებას, საკუთარი შეცდომების მიჩქმალვას. ერთი სიტყვით, — ამბობს ემ. ლასკერი — ყველაფერს, რასაც მივყევართ ანარქიისაკენ“.



როგორ უნდა ვიმუშაოთ საკუთარ თავზე? ჭადრაკში დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილების შეძენას. გამოცდილებას კი მივიღებთ სერიოზული პარტიების თამაშით, თამაშის დროს შექმნილი პოზიციების ანალიზით და ამ ანალიზების კრიტიკით. ლასკერი გვასწავლის, რომ ჭადრაკში მთავარია ვიცოდეთ ბრძოლის მეთოდები, მაგალითად, დებიუტების შესწავლისას იგი გვთავაზობს ასეთ მეთოდს: თქვენს მიერ მოწონებული დებიუტის შესწავლისას გასინჯეთ ყოველგვარი სვლა და მასზე შესაძლებელი პასუხები, ისე რომ თან შეაფასოთ შექმნილი მდგომარეობა. ეს გააკეთეთ ათჯერ, ორმოცდაათჯერ, ათასჯერ, სანამ არ დაადგენთ ჭეშმარიტებას, ან შეამჩნევთ რომელიმე მდგომარეობა მოწინააღმდეგესთან პრაქტიკულ თამაშში, და შემდეგ სერიოზულად შეისწავლეთ წაგების მიზეზები. ასე უფრო მეტს ისწავლით, ვიდრე ვარიანტების უბრალო დაზეპირებითო. აჯამებს რა ამ მეთოდს, ბოლოს ლასკერი ამბობს, „ასეთ ცდებს, ასე თუ ისე სწორს, ასე თუ ისე თანამიმდევრულს, უნდა აკეთებდეს მოყვარული თუ სურს დაეუფლოს ჭადრაკის საიდუმლოებას. ასეთი მუშაობისაგან შემსწავლელს დარჩება გარკვეული კვალი, განუვითარდება პოზიციის შეგრძნობა, ისწავლის საჭადრაკო შესაძლებლობების დანახვას, შეიძლება კიდეც გახდეს ვირტუოზი ჭადრაკის თამაშის ვიწრო სფეროში“.

ზოგი მოჭადრაკე ბრმად ენდობა წიგნებში დაბეჭდილ ანალიზებს, რჩევებს. ახალბედა „უნდა გაურბოდეს სხვების რჩევათა მექანიკურ გადაღებას. იგი არ უნდა თამაშობდეს შაბლონით. არ კმარა დაამუშაოს მასალა წიგნის ან მწვრთნელის სიტყვებიდან გაგებულით, საჭიროა გამოიტანოს საკუთარი შეფასება და მტკიცედ დაიცვას იგი. ამის გარეშე იგი ითამაშებს ჭადრაკს, ისე როგორც თუთიყუშა იმეორებს სიტყვებს, რომელიც მას არ ესმის“.

მოჭადრაკე ძირითადად უნდა ვარჯიშობდეს თამაშის გეგმების შედგენაში. გეგმების შედგენა კი გულისხმობს პოზიციის შეფასების უნარის განვითარებას. ლასკერი ამბობს, რომ სტეინიცის თეორია ამაში ნამდვილი მეგზურია. იგი ბუნებრივად გამომდინარეობს საღი აზრიდან.

ლასკერი თვლის, რომ სხვა საქმით დაკავებული კაცისათვის დღეში 30-40 წუთის მეცადინეობა (პოზიციების გარჩევა) საკმარისია სპორტული ფორმის შენარჩუნებისათვის.

ლასკერის პედაგოგიური რჩევა-დარიგება, რასაკვირველია, აქ მხოლოდ ნაწილობრივაა მოცემული. სამწუხაროდ, არ გვაქვს ადგილი მთლიანად მოვიყვანოთ იგი. მაგრამ, რაც ითქვა, ისიც საკმარისია იმისათვის, რომ მოჭადრაკე დაადგეს ჭადრაკის დაუფლების სწორ გზას.

ჭუთაისის სალოკომოტივო დეპოს თანამშრომლები თავისუფალ დროს სპორტული წრთობისათვის იყენებენ. ამ სურათზე აღბეჭდილი არიან მემანქანე-ინსტრუქტორი ა. ბექაია, მთავარი კონდუქტორი ა. ნადარეიშვილი და ხაზეინკლო ხაამქროს ბრიგადირი ი. ფურცხვანიძე, რომლებიც შესვენების დროს თამაშობენ ჭადრაკს.

ფოტო გ. ლოლომაძისა.

ბ. გურგენიძე



ვ. ბაბიროვი

რატესობა ჰქონდა, როიზმანმა არ ცხურვა თამაშის განახლება და თავი დამარცხებულად ცნო. ამ ღონეს პავლენკომ ანოხინთან გადადებულ პარტიაში ბოლომდე მიიყვანა მცირე უპირატესობა და გაიმარჯვა. ერთ-ერთი ლიდერი — მოსონოვიკი ვერ გადაურჩა ბუსლაევის ფიგურათა ეფექტებს და შეურიგდა დამარცხებას. როიზმანკლოვანის პარტია კვლავ გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებამ არსებითი ცვლილება არ შეუტანია ლიდერთა მდგომარეობაში. 10,5 ქულით 13-დან კვლავ წინაა გურგენიძე, ნეისა და ბაგიროვს, რომლებსაც 9,5 ქულა აქვთ, წამოეწია გიბსლისიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ვამბობთ ასე?

ცაიტნოტი

ცაიტნოტი საჭადრაკო პარტიაში ეწოდება დროის ნაკლებობას კონტროლამდე დარჩენილი სვლების მოსაფიქრებლად. ეს ნაკლებობა გამოწვეულია დაწყებით სვლებზე დროის არაპროპორციული ხარჯვით.

ჩვეულებრივ ცაიტნოტი გადამწყვეტ გავლენას ახდენს პარტიის საბოლოო შედეგზე და ბევრი მოჭადრაკისათვის წარმოადგენს ავადმყოფურ სენს, რომელიც აქვეითებს მათ სპორტულ მაჩვენებლებს.

თვითონ სიტყვა ცაიტნოტი შედგება ორი გერმანული სიტყვისაგან „ცაიტ“—დრო და „ნოტ“ — საჭიროება, ე. ი. სიტყვა ცაიტნოტის ზუსტი თარგმანია დროის საჭიროება.

ქართული ჭადრაკის ისტორიიდან

მამია გურიელი

(გარდაცვალებიდან 70 წლისთავის გამო)

✦

ცნობილი ქართველი პოეტი მ. გურიელი (1836-1891 წწ.) არა მარტო ქართული მწერლობის მოამაგე, არამედ ხაზოგადოებრივი მოღვაწე და სპორტის მოჭირნახულე იყო.

ჯერ კიდევ ბავშვობაში მას იტაცებდა ჭიდაობა, ჭირითი, მშვილდოსნობა და ჭადრაკი. ახალგაზრდობაში ეს უველაფერი მას გამოადგა სამხედრო სამსახურში.

ცხოვრების მეტი ნაწილი 1861 წლიდან მ. გურიელმა ქუთაისში გაატარა, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. იგი არც სპორტს ივიწყებდა. ესწრებოდა დოღს, ჭიდაობებს. მაგრამ თვითონ უველაზე უფრო ჭადრაკით იყო გატაცებული. იგი ხშირად იყო გენერალ გ. დადიანის ხალონინის სტუმარი, სადაც იკრიბებოდნენ ქუთაისის მოწინავე ადამიანები. აქ სხვათაშორის მ. გურიელი ჭადრაკის დაფასთან შეხვდა ცნობილ ქართველ მოჭადრაკეს ა. დადიანს. რაჭა-ლეჩხუმში კარგ მოჭადრაკედ აღიარებულ თავადის ქალს ფ. ჩიქოვანს, რომელსაც დაუმარცხებია მგოსანი.

ჭადრაკისადმი სიყვარულმა ნახა ასახვა მ. გურიელის შემოქმედებაში. უურადღებას იპყრობს დედისადმი ლექსად გაგზავნილი წერილი, რომელშიც მ. გურიელი იგონებს ერთი ხაჭადრაკო ბრძოლის შემთხვევას. ლექსის შინაარსი ასეთია:

მხიარული ხადილის შემდეგ გურიელების სტუმრებს გაუჩაღებიათ ჭადრაკის თამაში. „იყოფა მტრობა ორ მხარედ, ორი გამოპყავთ მებრძოლი“. თამაშს თან სდევს ხუმრობა, მდგომარეობა გამწვავდა მაშინ, როცა ერთ-ერთმა „ჩანგლით“ ლაზიერი მოიგო. ხუმრობა შეურაცხყოფაში გადაიზარდა, გურულები და მეგრელები ერთმანეთს ხაწყენს ეუბნებოდნენ. დამოკიდებულება ბოლოს ისე გამწვავდა, რომ „უცბად იშიშვლეს ხანჯლები, ხმლები და დამბაჩები: ყველაზე მეტად შეშინდნენ ქალები“... მოჩხუბრები გააშველა მახპინძელმა.

თ. გიორგაძე

30 აგვისტოს თბილისში გამოვლენ ამერიკელი ტანმოვარჯიშეები

გავიცნოთ ჩვენი სტუმრები

თბილისში სტუმრად ჩამოდიან ამერიკის შეერთებული შტატების ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა გუნდები, რომლებიც 30 აგვისტოს ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას ჩაატარებენ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენებთან.

რას წარმოადგენს ამერიკული ტანვარჯიში და რა წონა აქვს მას მსოფლიოს სარბიელზე? უნდა ითქვას, რომ ისეთი მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ტანვარჯიში ვერ სარგებლობს დიდი პოპულარობით. შეიძლება ეს აიხსნას ამ ქვეყნის სპორტსმენთა სუსტი მაჩვენებლებით მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებაში. მაგრამ თუ გინდა იყო ძლიერი სპორტის როშელიმე სახეობაში, უნდა ზრუნავდე კიდეც მოსახლეობის ფართო ფენებში, მის დანერგვაზე, მრავალრიცხოვან შეჯიბრებათა ჩატარებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინების საქმეს.

ამ ქვეყანაში ტანვარჯიში შეძლებული ხალხის გასართობს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სპორტის მასობრივ სახეობას და ამიტომ იყო როგორც ოლიმპიურ თამაშებზე, ისე სხვა შეჯიბრებებზე ამერიკელები ვერ დაიტრაბახებენ მაღალი შედეგებით. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე ამ ქვეყნის ვაჟთა გუნდი მხოლოდ მეხუთე ადგილზე გამოვიდა, ხოლო ქალთა გუნდი მე-9 ადგილზე. აშშ-ს ტანმოვარჯიშეებს უფრო მეტი წარმატება წინა ოლიმპიურ თამაშებზე ჰქონდათ. პირველი გამარჯვება მოპრეებულ იქნა 1904 წლის ოლიმპიადაზე, როცა ლენპარდმა ვაჟებში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. სხვადასხვა დროს ცალკეულ იარაღებზე ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ: კრიცი (1924 წ. ხტომები) ბიკსლერი (1932 წ. ღერძი), გალაკი (1932 წ. რგოლები).

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტანვარჯიშს, როგორც ოლიმპიური თამაშების სრულუფლებიან სპორტულ სახეობას, მხოლოდ ახლახან მიექცა ჯეროვანი ყურადღება. ამას მიაწერენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ჩასვლას ამ ქვეყანაში. საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა შესანიშნავი ტექნიკით მოხიბლეს ამერიკელი მაყურებელი და ამის შემდეგ იქ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

ახლა ამერიკელები იწვევენ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს გუნდებს, ატარებენ მათთან ერთობლივ ვარჯიშებს და ამხანაგურ შეხვედრებს. ამერიკის შეერთებული შტატების ტანვარჯიშის ფედერაციამ თავისი სპორტსმენების ძალთა მოსინჯვის მიზნით გადაწყვიტა სსრ კავშირში გამოეგზავნა ოლიმპიური გუნდი, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას გამართავს ჩვენ ქვეყნის ქალაქებში ადგილობრივ სპორტსმენებთან.

აშშ-ს გუნდი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ასეთი შემადგენლობით: ვაჟები—ა. გროსფელდი, 27 წლის, ბოლო ორი ოლიმპიადის მონაწილე, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ღერძზე ვარჯიშში, რ. ლინი, 22 წლის, წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩემპიონი, ჰ. ოკვინი, 26 წლის, რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე. აშშ-ს ჩემპიონი ტაიჭზე ვარჯიშში; დ. ტორნი, 26 წლის, რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე; ა. შერლოკი, 24 წლის, ა. ვეგა, 26 წლის, მელბურნის ოლიმპიადის მონაწილე. ქალები—დ. ფუქსი, 23 წლის, რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ქვეყნის ჩემპიონი მრავალჭიდში; ბ. გროსფელდი, 21 წლის, ბოლო 2 ოლიმპიადის მონაწილე, აშშ-ს ჩემპიონი, თავისუფალ ვარჯიშში; ჯ. კლაუზერი, 21 წლის, აშშ-ს 1961 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, ბ. მეიკოკი, 19 წლის, რომის ოლიმპიადის მონაწილე. გ. სონტგერარტი, 17 წლის, რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე; ე. ტაიბერი, 23 წლის, ძლიერი მრავალჭიდელი.

ამერიკელ ტანმოვარჯიშეთა დელეგაციის ხელმძღვანელობს აშშ-ს ტანვარჯიშის ასოციაციის პრეზიდენტი ჯორჯ გულაკი.

• • •

ჩვენი ქვეყნისა და აშშ-ს ტანმოვარჯიშეთა პირველი შეხვედრა გაიმართა მოსკოვში 23-24 აგვისტოს. პირველ დღეს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალები. აქ პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა ლ. ლატინინამ და ჰ. ასტახოვამ. მეორე დღეს შეჯიბრებაში ჩაებნენ ვაჟები. აქაც უპირატესობა ჩვენი სპორტსმენების მხარეზე იყო. გამარჯვებულის სახელი მოიპოვა ჰ. სტოლბოვამ. მეორე იყო ა. აზარიანი, მესამე — ვ. კერდემელიდი.

სეგიდი. უნგრეთმა [illegible] ბულგარეთთან [illegible] მარათონული რბენა, ჩვენი [illegible] შედეგი 2:23.55,4. მომდევნო [illegible] გილები დაიკავეს: მანმა (გდრ) [illegible] მუსტაპიჩმა, ტოლდიმ (ორივე [illegible] გოსლავია), კუნმა (უნგრეთი), [illegible] გალამ (პოლონეთი) და ა. შ.

მესინა. ახალზელანდიელმა [illegible] გუს ჰისლოპმა მოიგო „მესინას [illegible] დი პრიზი“ წრიულ ავტორბოლაში [illegible] 20 წრეზე (თვითეული 6020 მეტრ[illegible] მან აჩვენა საშუალო სისწრაფე[illegible] 156 კმ და 799 მ საათში.

ტურინი. ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ჟოზე დე კაპრილესმა [illegible] ნაცხადა, რომ მოფარიკავეთა [illegible] მავალი მსოფლიო ჩემპიონატი შ[illegible] დგება 1962 წელს, ბუენოს-აირ[illegible] ში. თავის მხრივ, არგენტინის ფ[illegible] დერაციამ წამოაყენა წინადადება, [illegible] რომ ჩემპიონატი გაიმართოს [illegible] ლისის დასაწყისში და არა ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში, [illegible] როგორც ითხოვენ ევროპის ფედერაციის წარმომადგენლები.

რედაქტორი ი. უგულავა



28
აგვისტო



სსრ კავშირის
პირველობა
„დინამო“ (თბილისი) —
„შალვირისი“ (კაუნასი)



29
აგვისტო
თავისუფალი

საერთაშორისო
შეხვედრა
საქართველო — შვეიცია

31
აგვისტო



სსრ კავშირის
პირველობა
„დინამო“ (თბილისი) —
ცსკა

შეხვედრების დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე

ევროპის რეკორდი

უნგრეთისა და გდრ-ს მოცურავეთა საერთაშორისო შეხვედრისას გდრ-ს ქალთა გუნდმა ჰოლეტრ-ს, მაიერის, ფურმანისა და პოპშტეინის შემადგენლობით 4×100 დაფარა 4 წუთსა და 46,4 წამში და გააუმჯობესა ევროპის რეკორდი, რომელიც დამყარებული იყო 1960 წელს (4.46,7).

ფულმერმა შეინარჩუნა ტიტული

ამერიკელმა პროფესიონალმა მოკრივემ ჯ. ფულმერმა, მსოფლიო ჩემპიონმა საშუალო წონაში, კუბელ ფერნანდესთან ორთაბრძოლაში შეინარჩუნა თავისი ტიტული. მას უკანასკნელ ორ რაუნდამდე (შეხვედრა გაანგარიშებულ იყო 15 რაუნდზე) თავის სასარგებლოდ მიეყავდა ბრძოლა, მაგრამ ფერნანდესმა გამძვინვარებული ირიშებით გროგშიც კი ჩააგდო მეტოქე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ფულმერმა თავისი იშვიათ გამძლეობით შეძლო მე-15 რაუნდის ბოლომდე მიეყვანა და გამარჯვებულიც გამოვიდა.

გორდონ პირის მარცხი

ოსლოში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ჩამოსულმა ცნობილმა ინგლისელმა მძლეოსანმა გორდონ პირომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას განზრახული აქვს მოხსნას მსოფლიო რეკორდი 2 მილზე რბენაში, რომელიც უდრის 8,30 წუთს. პირომ ვერ შეასრულა თავისი პირობა. ამ დისტანციაზე მის მიერ ნაჩვენები შედეგია 8.44,4.

მორეიერას წერილი ავსტრიელებს

ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების გასაცარმა წარმატებებმა ევროპის უძლიერეს გუნდებთან, დიდი სახელი მოუხვეჭა მის მწვრთნელს, კარლ დეკერს, ხოლო ავსტრიის ნაკრებს ამიერიდან უწოდებენ „დეკერის ვუნდერტიმს“.

„ვუნდერტიმი“ მრავალ მოწვევას ღებულობს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამ დღეებში ავსტრიის „ვუნდერტიმის“ ხელმძღვანელობამ მიიღო ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის